

F158N

საქართველოს
საბჭოთაო
ბიბლიოთეკა

საქართველო

საბჭოთა ბიბლიოთეკის
ლაგატი

ბაჟეთის № 1

ლაგატი № 1

პარასკევი, 1 იანვარი, 1916 წ.



ახალი წელი!

ნახატი მ. თოიბისა.

ნ ა ვ ი

შემოკრეფილა ღრუბელთა გუნდი.
 ზღვას დასწოლია ვით ხელებს—ხუნდი.
 ხან გაჰკრავს ელვა, მიაპობს მეხი.
 ტალღას ერთვება კლდე მონატენი.
 მიწა ინძრევა, ზეცა ირყევა,
 თითქოს სამყარო რისხვით იმხვრევა.
 ხანაც გრივლი წამოუქროლებს
 წყალს ლახტს გადაჰკრავს, ზე შეასროლებს,
 გაბმით ზუზუნებს და ყრუდ გუგუნებს...
 სად რომელ ნავსა გადააბრუნებს?

ამ დროს მეც უნდა ავუშვა ნავი,
 აბობოქრებულს ზღვას მივსცე თავი!
 ცხოვრების ტალღებს არ შევეუშინდე,
 ნაპირს ვადვიდე, იქ ვადავფრინდე!

აფრა ფრიალებს, ქარი გრიალებს,
 ტალღა წინ მისწრობს და მაგვიანებს,
 მეგრძვის, მებრკოლებს, გულს ამღელვარებს,
 შიშის ზარს ატეხს ჩემს თანამგზავრებს!
 მესმის სტირიან, იხოკვენ თავპირს:
 ვერ მივახწევთო გადაღმა ნაპირს!


ნიჩბებს მოუსვით! გაშალეთ შკლავი!
 თამამად მიჰქრის ობოლი ნავი!
 ბევრჯელ ღელვაში მოტანებულა,
 ბევრჯელ ტალღისგან იგი ვნებულა,
 გარდღუტანია მას ბედი მწარე,
 უნახავს ტურფა აღთქმული მხარე!

მამულო ჩემო! შენც ნავს გადაე!
 ობლად დასცურავ, ობლად გვატარე!
 მიენდე მგზავრებს—შენს ერთგულ შვილებს;
 ჩვენ მკაცრი ბედი ვერ შეგვაშინებს!

სანდრო შანშიაშვილი.



დედილო! მოგილოცავ ახალ წელს!
ნახატი ირაკლი თოიძის (მ. თოიძის შვილი)



დაიავ! გილოცავ ახალ წელს!
ნახ. ირაკლი თოიძისა.

კრიალოსანი

— ეგ რა არი, დედილო? ეგ რა არი, ჰა?... ვის მოუტანე ჰა? მითხარი, შენი ჭირი მე დედილო, მითხარი!

— ჩემ ბიჭუნას, ჩემს საყვარელ შვილიკოს ახალ წელს ვულოცავ... ეს კრიალოსანი შენთვისაა... ჩემის გულის ძაფზეა ასხმული.

— რა კარგი რამეებია!.. რა კარგი რამა ხარ, დედილო!..

— გაუფრთხილდი, შვილო!.. ოჰ!.. ძვირად დამიჯდა, ძვირად! ბევრი, ბევრი წველები გამოვიარე მაგათ შოვნაში!

— რა, დედიკოჯან?... ეს რა კარგია, ეს რა კარგია!.. დედაჯან!.. რანაირი ბჭყვრილობა!..

— მზემ, შვილო, მალა მთაზე გაჩერებულს თეთრად მოკამკამე ღრუბელს ოქროს სხივები ესროლა და ააბზინა... ძნელი იყო ბუმბერაზზე ასვლა, მაგრამ შენმა სიყვარულმა მუხლი გამიმაგრა, თვალის დახამხამებაზე ავიტყერი მალა მწვერვალზე და კამკამე ღრუბელს გული ამოვაცალე... ეგ ღრუბლის გულია, შვილო!

— ესა, დედა, ესა?... უყურე, რანაირი ლურჯია!

— ცას შუბლი შეეკრა და შავად გამოიყურებოდა... ქვეყანას რისხვას უმზადებდა. საღლაც შორს ოქროს გვირგვინა მნათობი გამოჩნდა, ღრუბელთა რაზმი შუაზე გაიყო და ცას ლურჯი, ლურჯი მკერდი დაეუნახე... შენმა სიყვარულმა ფრთები შემასხა, აფერილდი, ცას მკერდი გაფუჭე და გული ამოვაცალე. ეგ, შვილო, ცის გულია!

— ცეცხლი, დედა, ცეცხლი!.. ანათებს!..

— ცეცხლის მგრქვეველი მთა ათამაშებდა, გადავწვდი, ხელი დამეწვა, მაგრამ მაინც მოვტაცე... ჩემს დამწვარ ხელს შენი სიყვარული დაედო მალამოდ, ჩემო ბიჭიკო!..

— უჰ, დედა, რა კარგია!..

— შვილო, ზღვამ ტალღების მთები აზიდა მალა, ვერ შეიმაგრა და კლდიან ნაპირზე გადმოეფანტა. კლდეს ტალღის ნასროლი ლამაზი ნიჟარა დაეცა და დაიმსხვრა. ეგ დავინახე, შენმა სიყვარულმა ქურციკად მაქცია, ჩავსრილდი და ამოვიტანე.

— დედუნი, დედუნი!.. ნახე, ნახე!..

— ეგ, შავად მოელვარე, შავად მელვარე ჯურღმულიდან გამოვიტაცე; მწვანე, მწვანე მდგლოთა დედოფალმა მომთავაზა; ვარდისფერა კიდევ ყვილთა მეფემ გადმომიბოძა...

— დედა, წითელი!.. წითელი, დედა!.. უჰ, რა ზიზიაა!.. სისხლი სდის, დედილო, სისხლი!.. ავადა ხარ, დედიკო?..

— ეგ, შვილო... ეგ ჩვენი წმიდათა წმიდაა... ჩვენმა ქვეყანამ მკერდი გადიხსნა, იქიდან ამოიღო და მომაწოდა: აჰა, შენს ბიჭიკოს წაუღო. გამოვართვი... გული ჯვარედინად დავისერე... სისხლში დავფერე და ისე მოგიტანე... არა, შვილიკო, ხელს ნუ უსვამ, სანამ შენი ქვეყნის შვილთა კვნესა ცათამდის ახწვეს, არ გაშრება... დედა, თვალები რათ დახუჭე?... გეძინება?... დედი, დედილო, უნდა გაკოცო!.. რანაირი ცივი ხარ?..

ბევრი ახალი წელი ეწვია, ბევრი ძველი წელი გაისტუმრა და ჰალარა შემოერია. დედის კრიალოსანი მხოლოდ დღეს ამოიღო. ძვირფასი სახსოვარი ააწკრიალა და ააყვავილა.

კრიალოსანი ხან თეთრად კამკამებდა, ხან ლურჯად ბიბინებდა, ხან ცეცხლებს ისვრიდა და ყვითლად ლაპლაპებდა, ხან შავად ელვარებდა, ხან ვარდისფერობდა, ხან პირისფერობდა, ხან მწვანედ ლაღანებდა...

ხელს სისხლი დაეცა...

უნებურად წითელ მძივს თვალი გადაავლო, წარსულს გონების თვალით გადახედა, ბავშვობამ წარიტაცა და დედის მისუსტებულმა ხმამ აშკარად ყურში ჩასჩურჩულა: შვილიკო, სანამ შენი ქვეყნის შვილთა კვნესა ცათამდის ახწვეს, არ გაშრებაო.

სინამდვილე წინ სრული სახებით ჩამოენაკეთა.

მწარედ ამოიხრა და თავის ბინას თვალი გადაავლო. ამოღებული ხმალი დაინახა, კრიალოსანს ემთხვია და ისევ შეინახა. მოელვარეს ბასრ იარაღს ხელი წამოავლო და გარედ გავიდა: დაკარგულიდრო უნდა აენახლაურებინა.

ინ — ხანი.

როსტომა გასონიშვილი

(ძველი ხალხური თქმულება)

ოდესღაც საქართველოში სცხოვრობდა დედოფალი მაგდანილა. თავის სამეფოს ისე ბრძნულად განაგებდა, რომ გაჭირვებულს ვერავის ნახავდით. ქმარი მოუყვდა და ერთად ერთ ნუგეზად ვაჟიშვილი დარჩა, სახელად როსტომი...

ყმაწვილი იგი იყო ჭკვიანი. თავის სწორ ამხანაგებს ყველაფერში სჯობდა. დედას თავის სულზე მეტად უყვარდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. დედამ შეამჩნია როსტომს რალაც მოწყენილობა. მის მოხდენილს სახეს სევდის დალი დააჩნდა. მიზეზი არაფერ იცოდა. დიდად სცდილობდა დედოფალი შვილისთვის როგორმე სევდა ნალველი გაეფანტა. მისთვის ჯირითს მართავენდნენ, იწვევდნენ მთავრების მშვენიერ ქალიშვილებს ამღერებდნენ და ცეკვავდნენ, მაგრამ ამაოდ! ვერაფერმა უშველა: გული ვერ მოუღვინა ვერც მშვენიერ ქალთა სილამაზემ და მათმა ციკვა თამაშმა და ვერც საზეიმო ღვინამ.

მღუმარე და დაღვრემილი შევიდოდა ხოლმე ბაღის მიყრუებულ კუთხეში და იქ ოცნებობდა. ბოლოს დედოფალმა გადასწყვიტა პირდაპირ შვილისთვის ეკითხნა, რუ რა სტანჯავდა და გულს რა უწყლულებდა.

— შვილო ჩემო, — უთხრა დედოფალმა — გადამიხსენ შენი გული და გამიმელანე, რა გტანჯავს? რამ დაუკარგა შენს სულს მყუდროება?

— ძვირფასო დედი! უთხრა ბატონიშვილმა — ჯერ შენ გამაგებინე: ნუ დამიმაღავ, სად არის მამა ჩემო?

— მამაშენი დიდი ხანია აღარ არის... ის გარდაიცვალა... მოკვდა შვილო!

— რას ნიშნავს „მოკვდა“? რა არის სიკვდილი? მე ეგ არ მესმის...

— ჩემო შვილო! — უთხრა დედოფალმა — ჩვენ ყველანი მიწის შვილები ვართ, მიწისაგან შექმნილნი. დადგება ხოლმე ისეთი დრო, როცა ჩვენი დედამიწა უკანვე გვთხოვლობს და ჩვენც უნდა მივებარეთ; სული დაგვტოვებს ხოლმე...

— როგორ? მაშ ღმერთმა იმიტომ გავაჩინა, როცა ისევ მტვრად და მიწად ვაქციოს? ეგ არა მჯერა. მე არასოდეს არ ვისურვებ მაგ გარდაცვლას, მაგ სიკვდილს! მე მჯერა, ამ ქვეყნად უნდა იყოს ისეთი მხარე, სადაც მუდმივი სიცოცხლეა და ადამიანებმა არ იციან, თუ რა არის სიკვდილი. მე იმ მხარეს მოვძებნი, უნდა მოვძებნო... აქ აღარ დავრჩები. დედა ჩემო, მე იქ უნდა წავიდე... უნდა წავიდე...

დედოფალი ტყუილად სცდილობდა როსტომისთვის აზრი შეეცვლევინებია. შვილმა გადასწყვიტა... ყურადღება აღარ მიექცია დედის მუდარისთვის, მის მწარე ცრემლებისთვის... ერთ დღეს დედას გამოემშვიდობა და უკვდავების ქვეყნის საძებნელად გაემართა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თითოქმის მთელი ქვეყნიერობა მოიარა, მაგრამ რომელ კუთხესაც როსტომი ეძებდა, ვერსად ვერ ჰპოვა. ბოლოს ერთ ტრიალს მინდორს მიადგა. ნახა ერთი ირემი, სდგას იგი და რქები ცისკენ აღუმართავს. ირემმა ჰკითხა როსტომს: აქ რამ მოგიყვანაო.

— უკვდავების მხარეს ვეძებო — უპასუხა როსტომმა.

— შერე, მაგას სად ჰპოვებ? ეგ ჯერ არსად არ არსებობს, მაგრამ, აი, ჰხედავ, მე ბედით მოსჯილი მაქვს: ვიდრე მალა ცას ჩემი რქები არ მიებჯინება, ერთ ადგილს უნდა ვიდგე: აბა, რამდენმა საუკუნემ უნდა გაიაროს! დარჩი ჩემთან იმ დრომდე შენც იცოცხლე და რასაც შენ ეძებ, მაშინ ჰპოვებო!

— არა, მე ეგ არ მინდა, რომ რამდენსამე საუკუნეს ვიცოცხლო, და მხოლოდ მადამდის ვიყო უკვდავი, მე ვეძებ თვით უკვდავებასაო. უთხრა ბატონიშვილმა და განშორდა. იარა, იარა და ერთს უზარმაზარ მთას მიადგა. მთიდან გადაიხედა და თვალ ჩაუწვდენელი უფსკრული დაინახა. ერთ კლდეზე ყოვანი იჯდა და ნისკარტით კენჭებს უფსკრულში ისვროდა. ყოვანმა ჰკითხა ბატონიშვილს: აქ რამ მოგიყვანაო.

— უკვდავებას ვეძებო! მიუგო ბატონიშვილმა.

— შე უგუნურო, დასჩხავლა ყოვანმა, მაგ უკვდავებას ვერსად ვერ შეეყრები. მაგრამ ყური დამიგდე: ბედისაგან აღთქმული მაქვს იმ დრომდე ვიცოცხლო, ვიდრე ამ უფსკრულს კენჭებით ამოვავსებ. აბა, რამდენმა საუკუნემ უნდა გაიაროს! შენ აქ დარჩი მანამდის ცოცხალი იქნები. როცა ჩემს სასჯელს მოვიხდი და უფსკრულს კენჭებით ამოვავსებ, უკვდავება მაშინ გამოგეცხადებაო.

— არა, მე ეგ არ მინდა რომ რამდენსამე საუკუნეს ვიცოცხლო და შემდეგ მოგკვდე; მე თვით უკვდავებას ვეძებო — უთხრა ბატონიშვილმა და გზას გაუდგა.

— არა, მე ეგ არ მინდა რომ რამდენსამე საუკუნეს ვიცოცხლო და შემდეგ მოგკვდე; მე თვით უკვდავებას ვეძებო — უთხრა ბატონიშვილმა და გზას გაუდგა.

ქრონიკული
გიგლიოთიკა

ბევრი იარა თუ ცოტა იარა—სიტყვით ყველაფერი მალე კეთდება, მაგრამ საქმე დროს მოითხოვს—ბოლოს ბატონიშვილი ერთ ზღვას მიაღწა. ზღვის ნელი ტალღა მზის სხივებზე სხვა და სხვა ფერად ლაპლაპებდა. ბატონიშვილმა ზღვის გადაღმა მშვენიერი კუთხე დაინახა. გულმა გაუღიმა: ღვთაებრივ კუთხეს მივაგენო! მიმქრალ ვარდის ფერ ბურუსში მოსჩანდა ბროლის კოშკი. მომხიბვლელმა კუთხემ სული წარუტყვევია, გული აუღელვავა და მის ოცნებას ფრთები შეასხა.

მძიმე-მძიმედ მოცურდა კუბოს მსგავსი ნავი. ოდნავ—გამსჭვრიელი არსება იღუმლის ხელით ვერცხლის ნიჩაფს უსვამდა. ჩაისვა ბატონიშვილი და რამდენსამე ხნის შემდეგ მეორე ნაპირს გარდაიყვანა. ალტაცებული როსტომი შევიდა სასახლეში და იხილა ნარინარი, წყნარად მოციალე ქალწული.

ვინ იყო იგი?—არ იცოდა. მის წინაშე მზის სხივიც კი იჩრდილებოდა. მოკამკამე მთვარის შუქი შიშველ სხეულის ირგვლივ სამოსავად ეცვა. მუქი კულულები მკერდზე ეალერსებოდნენ. შეჭხიდა როსტომს და გული აუთრთოლა. უთხრა სიოებრ ნაზი ჩურჩულით:

— დღიდან ქვეყნის გაჩენისა მე ვიყავ და დასასრულის შემდეგაც მე დავრჩები. ქვეყნის სიცოცხლე და ბედნიერება! ჩემთან, ჩემში და ჩემს გამო სიცოცხლე მშვენიერდება, უკვლავი ხდება. ვიდრე ჩემთან იქმნები, მანამდე მხოლოდ ჩემით იცოცხლებ და რაკი უარპყოფ ქვეყნიურს, მხოლოდ მე მიმზერ და ჩემით ისულდგმულე—მადამდე სიკვდილი ხელს ვერ შეგახებს. მე ვარ მშვენიერება! დარჩი ჩემთანაო!

როსტომი დარჩა. განვლო რამდენიმე საუკუნემ. როსტომი სტკბებოდა მშვენიერებით.

ერთხელ უნებურად გულს სევდა შემოაწვა და უთხრა თავის ღვთაებას: მრავალმა საუკუნემ განვლო და ამ ხნის განმავლობაში არ მინახავს არც დედაჩემი არც სხვა ჩემიანი და არც ჩემი სამშობლოო.

მშვენიერებამ უბასუხა: მიწა მაინც თავისას მტაცებს. წადი, დაემორჩილე საყოველთაო კაცთა კანონს! წადი და თან წაიღე ეს ორი ვარდი: ერთი წითელი და მეორე თეთრი. თუ მოისურვებ ის საუკუნოები განიცადო, რაც ხანი აქ დაჰყავ, დაჰყნოსე წითელს და თუ შეიგნებ სიკვდილის აზრსა და მშვენიერებას, დაჰყნოსე თეთრსაო.

წამოვიდა ბატონიშვილი, გადმოიარა ნაცნობი მთიანი ადგილი და კლდეზე დაინახა შავი ყორანი. უყივლა და ყორანმა ხმა არ გასცა. მივიდა ხელი შეახო, ყორანი ნაცარივით ჩაიფერულა. გადაჰხედა და უფესკრული აღარსად სჩანდა. ყორანს თავისი მოვალეობა მოეხადა.

გადმოვიდა და ირემიც ამ ყოფაში დაჰხვდა. მისი რქები ზეცას მიბჯენოდა.

ბოლოს თავის სამშობლოში მოვიდა. მაგრამ რას ჰხედავს? რა მომხდარიყო. ნაცნობი ველარაფინ ნახა. ადგილებიც გამოცვლილიყო. სადაც წინად უდაბნო იყო, იქ სოფლები ჰყვავოდა. უცხო ადამიანები დაიარებიან და არაჩვეულებრივი ტანისამოსი ეცვათ, გაუგებრად ლაპარაკობდნენ. ეს ის მთებია, ის მხარე, ის ბაღი, სა-

დაც ის აღიზარდა და უკანასკნელად თავისი დედა დასტოვა, მაგრამ თვით დედა სად არის?

სად არის ის სასახლე, სადაც ცხოვრობდნენ?

ამისთანა რამ აღარაფერი სჩანდა. ყველაფერი უცნაურად შეცვლილიყო.

მხოლოდ ნანგრევებით-ლა მიჰხვდებოდა ადამიანი, რომ აქ დიდებული სასახლე ყოფილა და ჟამთა-ვითარებას დაუნგრევია და დარჩენილი კედლები ხავსით შეუმოსავს.

ნახა ის ადგილი, სადაც შადრევანი ამოჩუხჩუხებდა და მშვენიერი ასულნი შიშველ ფეხით მწვანეზე დარბოდნენ.

იქ ერთი სამლოცველო იყო. შევიდა, ქვაზედ ჩამომჯდარიყო თვალგზი-ჩაკვირებული და მკვდარს მიმსგავსებული გრძელ-თეთრწვერა მოხუცი ბერი.

ცახცახებდა და მთრთოლვარე ბავით ლოცვას ამბობდა.

— მითხარ, ღირსო მამაო, ეს ხომ ის ადგილია, სადაც ოდესღაც სახილოვანი და განთქმული დედოფალი მაგდანი სცხოვრობდა? მე მისი შვილი ვარ ტახტის მემკვიდრე და თუ დედა ჩემი ცოცხალი აღარ არის, ტახტი და გვირგვინი ჩემს ხელში უნდა გადმოვიდეს მე უნდა ვიყვე თქვენი მეფეო!

მოხუცი გაკვირებული დიდხანს უკვირდა. ბოლოს უთხრა: მაგდანი?... დედოფალი მაგდანი? ჰო, ხალხის რომელღაც თქმულებაში თუ ზღაპარში გამოგია, რომ ოდესღაც ყოფილა დედოფალი მაგდანი. მაგრამ მე შენი ლაპარაკი, შვილო, არ მესმის! შენ ჩვენს ენაზე არ ლაპარაკობ. შენი ენა ძველ ხელთნაწერების ენას ოდნავ წააგავს. მე ოდესღაც ამ ხელთნაწერებსა ვსწავლობდი და ცოტა იმითმ გავიგე შენი ლაპარაკი. შენ მაგდანს ამბობ? ჰო, ხალხში არის ერთგვარი გადმოცემა—სწორეა თუ არა, ეს არ ვიცი, — რომ ოდესღაც ამ ათასის თუ უფრო მეტის წლის წინად ძლიერს დედოფალს უხელმწიფნია. მისი სახელი მაგდანი ყოფილა. შვილიც ჰყოლია და ის შვილი საღვაც საძიებლად წასულა. მაგდანი მომკვდარა და მისი სამეფოც დარღვეულა.

დაფიქრდა როსტომი და სთქვა: ჰოი სამარადისო ჟამთა საიდუმლოება! რაღა ვარ მე? მხოლოდ გარდმოცემა და დავიწყებული ლეგენდა, ზღაპარი?

ამოიღო წითელი ვარდი და დაჰყნოსა. ერთს წუთში განიცადა ყოველივე ის, რაც ჟამთა ვითარებაში განვლილიყო. ყველაფერი თვალწინ წარმოუდგა იხილა ყოველგვარი ბედი სამშობლოსი. იხილა მრავალი მოღალატე და ქართველ ერის დამლუპველი. აღენთო მისი გრძნობა, აღუშფოთდა სული და სთქვა: როგორც მე აღვდექ უკვდავებიდან, უკვდავებით შემოსილი, მგრევე აღვადგენ ჩემს მამულს.

ქვაზე მჯდომ მოხუცს თვალები გაუზრწყინდა. წამოდგა. როსტომს ჩააცქერდა და უთხრა: ბედით მოსჯილი მქონდა იმ დრომდე მეცოცხლნა და მამულის საიდუმლო გულში შემენახა, ვიდრე ყრმისაგან მაგ სიტყვებს გავიგებდი, აჰა, გიმეფანებ წინაპართაგან აღთქმულ საიდუმლოს. აჰა ეს... გახსენ...

მოხუცმა ყრმას გადასცა ოქროს ყუთით სამშობლოს საიდუმლო. რაღაც სიტყვა ჩასჩურჩულა და წარსულმა ჟამთა ვითარების აჩრდილმა დახუჭა თვალები.



საქართველოს ისტორია. მამულის დამცველნი. ჩონჩხთა მთა. ბიეთის სავანე-მონასტერი.

საქართველოს ისტორია (სურათის ახსნა)

საქართველოს ისტორია მარტივია. როგორც საზოგადოდ მარტივია ისტორია ყოველ იმ ერისა, რომელიც თავისუფალ ცხოვრების მოპოვებისათვის, სიცოცხლის დაუზოგვად, თავგანწირულად იბრძვის.

და არა ჰყვირის, არ ფლიდობს, არ ყიდულობს მას და არ ჰყიდის.

ამიტომ საქართველოს ისტორია მამულის დამცველთა აუარებელ გროვა ქალა-ძღლებით სავსეა.

როგორც სავსეა ქართველ მებრძოლთა ძღლებით, აი, ეს სავანე-აკლდამა!

„მიჩვენეთ თქვენი სამარენი და გეტყვით რა მომავალი მოელის თქვენს ერს“—უთქვამს ერთს გამოჩენილ მსოფლიო მწერალს

აი ინებეთ! ვეტყვით ჩვენ.

საქართველოს მიწა-წყალზედ, მრავლად გაფანტულ სამარეში ათი ათასობით მოსთვლით გმირ ქართველთა ასეთ ნაშთებს!

თავის ქალათა თვალის ხერხელებით ჯერ კიდევ ცოცხლად გამოიყურებიან და გვეუბნებიან:

საქართველოს თავისუფალ ცხოვრების მოძულეებმა ჩვენი, ქართველების ძღლებისაგან მთები ააშენეს. ამითი ჰსურდათ ქართველ ერის თავისუფლების დიდი წყურვილი დაემხოთ და ჩაეკლათ.

ბევრჯელ რა ღონე არ იღონეს, რა ძალა არ იხმარეს, რათა ცოცხალი ქართველობა მთლად უსულო ქალა-ძღლებად და საქართველო სამარედ გადაექციათ.

მაგრამ ცდამ მულამ ჟამ უნაყოფოდ ჩაუარათ. აოხრებულ ქვეყნის ცოცხლად გადარჩენილი ქართველობა ამ საშინელ „მთებიდან“ მაინც გაიძახოდა:

საქართველო დაიღუპა, გაუმარჯოს ახალ საქართველოსაო!

ღ ამ ძვირფას „ძვალთა მთების“ სათავეზედ კვლავ სდგავდა სავანე ეკლესია-მონასტრებს და ახალ ქართულ ცხოვრებას აშენებდა.

„ქალა-ძღლების მთები“ საქართველოს მოძულეებმა ვერ გამოიყენეს.

ამით ქართველი ერი ვერ დააშინეს, თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართული სული ვერ ჩააქრეს.

პირიქით, ეს „მთები“ წმიდათა-წმიდა და ყოველ ქართველისათვის სათაყვანებელ, ძეგლებად აქციეს. და ზედ ქართველ კაცის სისხლით ოქროს სიტყვები წააწერეს:

სიკვდილი თავისუფლებისათვის!

დღეს ქართველობაც ამავე დიად გრძნობებით გამსჭვალულია. და რაც უფრო მეტია მისი მოძულე, რაც უფრო ძლიერია მის მტერთა ტალღები, იმდენად უფრო ძლიერდება, ფოლადდება ქართველობა, თავის ეროვნულ თავდაცვის საქმეში.

ჩვენი დღევანდელი პასუხიც—აი ეს, ბიეთის აკლდამაში მომწყვედილი ზ საქართველოს თავისუფლებისათვის შეწირული, აუარებელი ქართველის ქალა-ძღლებია!

მის წინ არ შედრკა საქართველოს წარსულ ისტორიის ქართველობა.

არ შედრკება, სულით, გულით, ჯან-ღონით სავსე ახალ ისტორიის მომავალი ქართველობაც.



მე ჩემი განვლე, შვილო, ეხლა შენ იცი

უხილავის სიგლაკა.


უხილავო! მზე რად მინდა, რად ელვარებს დღე ნათელი,
თუ კი იქით წყვილია, თუ ძიებას ჰკვეთავს ბნელი.

ნავზე სწრაფად ჰსრბიან დღენი, დროს თან მიაქვს სულის შვება...
სად იწყება დასაბამი, დასასრული სად თავდება?

გამოუთქმელ ძიებაში სულსა ჰსწყურის უკვდავება:—

ნეტამც ვიყო ვერცხლის სხივი, უკვდავ მთვარეს გადავება!..

გ. ლეონიძე.



ახალი წელი გლეხის ოჯახში

ნახ. ვ. სიღამონ-ერისთავისა.

ხალხური ლექსები

(სოფლად გაგონილი და ჩაწერილი)

ხალხმა სთქვა: პირი დამეანგდა,
ჯაბანმა ვინმე ჩამიგო,
ნეტავი ვაჟაკს შემყარა,
პირიდან სისხლი ამილო.
მეღვარებდეს მტრის კარსა,
ქარქაშით გარე გამილო,
მაჯა მაგრობდეს ბევთარით,*)
პირი ვაღამდინ ჩამილო.

ქალო კრულო, გეხვეწები,
წელიწადი გამოსულა,
ხეს ფურცელი გასციენია,
სხვა ახალი გამოსულა;
სამას სამოც და ხუთ დღეში
გულს სიამე არ მოსულა;
არ გიკვირს, რომ ამდენ ცდაში
სული მითლად არ ამოსულა?!

მარგალიტა ვადუღებდი,
ვადმოვიდა გუბე წყალი,
ნუ დამწვი და ნუ დამდაგე,
შემიბრალე მე საწყალი!
კალთაშია მოგიკვდები,
შენის ხელით მასხა წყალი,
ამას მაინც იტყვის ვინმე,—
რისთვის კვდება ეს საწყალი!

ი. კარგარეთელი.

*) ბევთარი—მავთულიდან მოქსოვილი ხელთათმანია.

დარეჯან. ისე გამოვიცნო?.. მაშ კარგი! ოცდა ათი იქნება!..
ლუარსაბ. ოლოლო შენ! ვერ გამოიცანი!
დარეჯან. მაშ რამდენია?
ლუარსაბ. რაღენია?—გითხრა?.. არა, არ გეტყვი.
დარეჯან. სთქვი, თუ იცი, რაღა!
ლუარსაბ. თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს!.. ოლოლო შენ... მე გამოვიცანი!
დარეჯან. დიახ, გამოვიცანი!.. დაგითვლია, როგორც იმ დღეს ჰქენი...
ლუარსაბ. ხომ მეც გამოვიცნობდი!
ლუარსაბ. შენც არ მომიკვდევ და ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია!..
დარეჯან. მაშ საიდან იცი, რომ ორმოცი?
ლუარსაბ. საიდან? იქიდან რომ გონება მაქვს...
დარეჯან. განა მე კი არა მაქვს გონება?
ლუარსაბ. შენც მაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა!? მე ვარაუდით მიგხვდები რომ ორმოცი!..
დარეჯან. რომ არ იყოს ორმოცი?
ლუარსაბ. ჯარიმა გადამიხდევინე!



სვ. გ. ბეკნიშვილი.
(+ 6 ქრისტეშობ.)

დათო. ყანაში, შენი ჭირიმიე.
ლუარსაბ. რამდენია?
დათო. ოთხი საბატონო და ოთხი ბეგრისა, შენი ჭირიმიე!
ლუარსაბ. რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?...
დათო. ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი ჭირიმიე, და დღეს საიდან იქნებოდა?
ლუარსაბ. ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეყო!.. მე არ ვიცი! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო!.. ბატონს სამსახური უნდა!.. მაშ მე ბატონი არ ვყოფილვარ! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო! მე უჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი კიდევ ყმები!

დათო. ენგრე, შენი ჭირიმიე, სწორედ ენგრე უნდა!
ლუარსაბ. ჰო და აგრე! ეხლანა წადი და სამხარეულოს მიხედე! საცა სადღობაც იქნება!..
დათო. (მიდის) გეახლები შენი ჭირიმიე, (ვადის).
ლუარსაბ. (დიდი სიჩუმე) კარგად არ დავტუქსე, ჩემო სულის ტარხუნავ, აჰა? რას იტყვი?! აგრე უნდა ამათ! ტყუილად კი არ არის ნაჰქვამი გლენებზე: „ოფლითა თვისითა სქამონ პური თვისითა“!

დარეჯან. ეგ აღაშხა ნათქვამი და მაშინ რომ არც თავადები იყვენ და არც გლენები!
ლუარსაბ. რატომაც არ იყვენ! ჩვენი გვარი—თათქარიძე მაშინდელია—აღამის დროინდელია!
დარეჯან. რას ამბობ? ისე ლაპარაკობ თითქოს არა იცოდერო!.. მაშინ აღამისა და ევას მეტი არავინ ყოფილა და აღამი თავის თავზე თავადი ხომ არ იქნებოდა?!..
ლუარსაბ. მართლა, ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე. არა, გეთაყვანე, ის ხე რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?!..
დარეჯან. ხე ბოროტისა და კეთილისა.
ლუარსაბ. რა ხე? ოჰოჰო?! ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?
დარეჯან. როგორ არა. ამბობენ—რუსთ ხელმწიფის ბალში ერთი ოქროს ოთახიაო, იმაში არის თურმე, და სულ იაგუნდის ვაშლები ასხიაო...

ლუარსაბ. (აწყვეტინეს) ზურმუხტისა იქნება!
დარეჯან. ოჰ, მართლა—ზურმუხტისა; ზურმუხტიც ხომ ფოთოლსავით მწვანეა... სულ აღმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერ, თურმე...

ლუარსაბ. ნეტავი მაქამა!.. აბა გე მოც იმაში იქნება!..
დარეჯან. ძალიან კი არ მიგიშვებენ!.. ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია, თურმე!..

ლუარსაბ. მაშ ხონთქარს როგორ მოუპარინებია?!
დარეჯან. აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა... ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი აღმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოქცეულა, გამოპარულა!..
ლუარსაბ. მაშ წაუღია—წაუღია?! რა ეშმაკი ყოფილა!..
დარეჯან. მაშ, წაუღია—წაუღია!.. მერე დედოფალი შებრუნებულა... უნახავს რომ ერთი დიდი აღმასი აკლია, მაშინათვე რუსთ ხელმწიფისათვის შეუტყობინებია!.. რუსთ ხელმწიფე მაშინათვე მიხვდარა, რომ ეს ხონთქარის ოინებია და ომი დაუწყვია!.. ის ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა...
ლუარსაბ. მაშ შერჩა—შერჩა?! ჰა?!
დარეჯან. ვინ იცის, ჯერ ომი არ გათავებულა...

ლუარსაბ. ნეტავი მე მომეპარა!..
დარეჯან. ხომ დავახრჩობდნენ?
ლუარსაბ. რომ არ შევატყობინებდი?! ჩვეყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ!..
დარეჯან. გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ!..
ლუარსაბ. რა ეცოდინებოდათ რომ მე მაქვს?!
დარეჯან. შენი ჭირიმიე, მკითხავს ვერ იშოვნინდენ რომ ეკითხნათ!..

ლუარსაბ. მართლა ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე!.. (P. P.) დაცა, აღამმა რომ შეჭამა ის რაღა იქნა?
დარეჯან. კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა, თურმე, და იმსა აქვს!..
ლუარსაბ. აბა დახე, ღვთის სამართალსა?!: მე მეპოვნა უფრო მაღლი არ იქნებოდა!..—
დარეჯან. მერე ვინ შეგარჩინდა?! ორასი წელიწადია, თურმე, მაშპაყრამის ხელმწიფე სულ იმისთვის ებრძვის კუნძულელსა!..
ლუარსაბ. აქამდინ ვერ წაართო?!
დარეჯან. ვერა.—
ლუარსაბ. აჰაი, ჰაი, ჰაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!

დარეჯან. მე კი არ ვიცი რომ ღონიერი ყოფილა! ხელმწიფე და უღონო—გაგონილა?!..
ლუარსაბ. ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა... დიდ ვაჟკაცს ამბობენ!..
დარეჯან. ის, რა საკვირველია, წაართმევდა, მაგრამ (ოხვრით) სად არის.
ლუარსაბ. (P) ცოდო არ არის, ის ეხლა მიწაში უნდა ღებოდეს და შენი მახლი დავითი კი ცოცხალი იყოს!..

დარეჯან. ჰო და შენ უყურე წუთი სოფლის მუხანათობას!.. ეგ რა, კიდევ: თამარ დედოფალი მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი მხეს უყურებდეს?!.. აფსუს!
ლუარსაბ. აბა წუთი სოფლის ანგარიში ეგ არის და! (ოხრავს) ეხლა კიდევ რაები მოიგონეს, თქვენი ჭირიმიე; იმ დღეს ჩვენი რძალი ამბობდა: ყმები უნდა ჩამოგვართვანო!..
დარეჯან. შენც ხომ მაშინათვე დაიჯერე!..
ლუარსაბ. რა ვიცი—კარაბადინმა სთქვაო, მოდი ნუ დაიჯერებ!.. ის კი,

ღვთის წინაშე, არ მომავლდა?..
დარეჯან. გონება სადა გქონდა?
ლუარსაბ. ეჰ, შე დალოცვილო, გონება თანა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა! სულ რომ მაგონდებოდეს რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა?... სოლომონ ბრძენი ვიქნებოდი; თუნდაც ეგ არ იყოს, ქვეყანაზე, რა ვიცხ, რამდენი ეშმაკის მანქანებაა!.. ეგეც იქნება ერთი იმათგანი იყოს!.. ვეყო, ამ ცოდვილ ქვეყანაზე რა არ მომხდარა... ეგეც შეიძლება რომ მოხდეს! იცი რა, ეხლავე დავუძახებ დათოს და ვეტყვი რომ... დათო! დათო!

დათოს ხმა. (შორიდან) ბატონო შენი ჭირიმიე!
ლუარსაბ. აი ჭირი შენა და ღოზანა! ბიჭო სად ეშმაკებში ხარ!
დათოს ხმა. (უფრო ახლო) ეხლავე შენი ჭირიმიე. (შემოდის დათო)

4

დათო. რას მიბრძანებ, შენი ჭირიმიე!
ლუარსაბ. იმას, რომა ყმები ჩამოგვერთმევადო—რომ ამბობენ—ტყუილია! გესმის თუ არა, ყველას უთხარი, რომ ღუფილია! ხელმწიფეს მოუწერია—დავარჩობ ვინც იტყვის რომ ეგ მართალიაო! ვინც კი გონებაშია ცა-იტარებს, იმათაც ცუდი დღე მოელით!.. გაიგე?!
დათო. გაიგე, შენი ჭირიმიე; განა მავას ვინ ფიქრობს?!.. აი რაღაც გოგო ბიჭები მიჰპარავენ, შენი ჭირიმიე, იმათ ვინ დაუჯერებს!.. წვრილფეხობას სიტყვას ვინ დაუჯერებს?!.. იებედონ და დაჩუმიდებიან!..

ლუარსაბ. ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც ჩემო დათია!.. ან კარგი იქნება თქვენთვის რომ ჩვენ არა გყავდეთ!..
დათო. შენი მტერი, ყველა ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმიე!
ლუარსაბ. რაც უნდა იყოს მამასავით გაბატონობთ!..
დათო. დიახ, შენი ჭირიმიე, სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ კიდევ თქვენი შვილები ვართო!.. თუ ხანდახან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წავგართმევთ და აგვაწიოკებთ, ეგ რა დიდი ცოდოა, ამას ხომ ჩვენი სიკეთისათვის ჩაღებართ!..

დარეჯანი. ჰო და სწორედ ამბობ, ჩემო დათია, სიმართლეს ამბობ!
დათო. მართალს მოგახსენებთ ქალბატონო, ტყუილი რად უნდა გქადრო! სხვას არა აქვს ამის გაგება: ამბობს რაც ჩემია—ჩემი უნდა იყოსო, უცხო რა შუაშიაო, ბატონი რად უნდა გვართმევდესო... ჩემი მონაგარი მე უნდა მეკუთვნოდესო!.. აბა, ხომ მოგახსენებთ,—გლენკაცი უქჟუო და რეგვენია!..
დარეჯანი. ოღონდაც რეგვენია! მაშ ბატონი რის ბატონია, თუ არ დატუქსავს, არ დაარბევს და არ წაართმევს! თუნდა ეგეც არ იყოს, უცხო ხომ არ ართმევს—ისევე თავისავე ბატონი არ არის?

დათო. (ეშმაკურად) მართალი ბრძანებაა!.. მამაა—უცხო რად იქნება?
ლუარსაბ. დიდი და პატარა საღ არისო?... აი თუ არ არის აბა თითებზე დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა! რისთვის? სწორედ იმისთვის, რომ ღმერთს ეგრე გაუჩენია. ყველა ერთნაირი რომ იყოს არ იფარგებს, აბა დაიხედე, დაიხედე!..
დათო. განა არ დამიხედნია შენი ჭირიმიე! ოღონდაც დიდიც არის და

დათოს ხმა. (უფრო ახლო) მიბრძანე, შენი ჭირიმიე! (შემოდის)

3
ლუარსაბ. ბიჭო, ურმები გაისტუმრე?
დათო. გაისტუმრე, შენი ჭირიმიე, ეხლა ორღობეებს იქნებიან გაცილებულნი.
ლუარსაბ. სად გაისტუმრე?



პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, იმ დალოცვილ ღმერთსაც ეგრე გაუჩენია (ცბიერად) რომ ე თითებიც ერთმანეთს არ უშლიან, არ სჩაგრამენ... ვისაც თავში ტვინი აქვს, აკო არ იჯერებს შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა, — ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო, თორემა...

დარეჯანი. როგორ თუ მართალიაო? განა ხელმწიფე ასეთ უსამართლობას ჩაიდენდა ჩვენს საწინააღმდეგოდ?..

დათო. ენგრე მოგახსენებენ შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ გლეხების განთავისუფლება ქვეყნისათვის კარგი იქნებაო...

ლუარსაბ. ის ჩემი კარგი მამა არ წამიწყდეს, ტყუილია — ტყუილი! აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა ამას თუ არა გამოტყინებული და ლუდას კერძი!..

დარეჯანი. აი მეხიცი კი დავაყარე შაგისთანა ჭკვიანსა (ქოქოლას აყრის).

ლუარსაბ. (დაცინვით) ქვეყნისთვის კარგი იქნებაო? მე თუ არ ვიქნები ქვეყანა და მთელი ღუნია სულ ძირიან ფესვიანად ამოვარდნილა! თუ მე და შენ არ ვიქნებით ქვეყანა რაღა ჯანაბად გვინდა? აგრე არ არის დათო?!

დათო. დიახ, შენი ჭირიმე! ჯანაბამდე გზა ჭკონია უგლეხო ქვეყანას!

ლუარსაბ. ჰო და აგრე: შენ ყოველგან ასე ილაპარაკე — რომ ტყუილ-უბრალოდ თავს ნუ ილორებენ: უჩვენოთ ცხოვრება არ შეიძლება... აბა ეხლა წადი და სამხარეულოს მიხიდე... საცაა სადილობაც იქნება: თედოს უთხარი დაუჩქაროს!..

დათო. გეახლებით, შენი ჭირიმე; როგორც მიბრძანებ ისე ვილაპარაკებ... მაგრამ ემ უჭკუო ხალხს რომ არა სჯერა... ხმას რომ ამოვიღებთ — პირში ბურთს გვჩრიან, თორენა, მენა ხომ მოგვხსენებათ... გეახლები, შენი ჭირიმე... (ბუტბუტით გადის).

ლუარსაბ ჩემო დარეჯან, ტყუილად კი არა ვსთქვი, საცაა სადილობაც იქნება მეთქი!.. ხომ უნდა ვქამოთ?

დარეჯანი. რატომ არ უნდა ვქამოთ, გენაცვალოს დარეჯანი! ღვთის წყალობით საქმელ-სასმელი ბევრი გვაქვს...

ლუარსაბ. მაინც?

დარეჯან. დღეს ბიჭმა ბაზრიდან ჩალაჯიც მოიტანა, სუკიც, ზურგიელიც გვაქვს, მწვანელი და კიტრები, ღვინოც ბლომადაა. ყველი და პური კეთილი გული!

ლუარსაბ. აი გაგიმარჯოს და გადღერძელოს ღმერთმა... ჩვენისთანა სადილი ხელმწიფესაც არ ექნება?..

დარეჯან. (აღერსით) არტალაზედ როგორა ხარ?

ლუარსაბ. არტალაზე? უჰ, ვაცივითა ვარ, ვაცივითა! ბარაქალა დარეჯან, ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით! — მთელს სახელმწიფოდა ღირს მე და ჩემმა ღმერთმა! სხვა? მარტო ეს რას გვეყოფა?!

დარეჯანი. ერთი კარგი დედლის ჩიხირთმა?

ლუარსაბ ჩიხირთმა? აჰ, ჩიხირთმა? არა გეთაყვა, ბოზბაში სჯობიან! ე-ჰე, ტყემლით გაკეთებული ბოზბაში ხომ მთელი სამოთხეა!..

დარეჯან. შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს!

ლუარსაბ. ვაჰ, ტყემლით გაკეთებულ ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო? ისე ბოზბაში რა არის, და ტყემლით რა იქნება? — ედემია სამოთხეში! რას ამბობ, რასა? ერთი, მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩვენია?!

დარეჯან. ოჰ, შენც ერთი ახირებულ კაცი ხარ, რასაც იტყვი ტუპილიც რომ იყოს, კაცი ველალ გადავათქმევენებს...

ლუარსაბ. მაშ შენ ჩიხირთმას ამჯობინებ?

დარეჯან. ვამჯობინებ!

ლუარსაბ. მაშ შენ პირში ვემო არ გქონია!

დარეჯან. შენ არა გქონია, რომ ბოზბაშს ამჯობინებ!

ლუარსაბ. მაშ შენ ჩიხირთმაზე სდგეხარ?

დარეჯან. ვსდგევარ! (ერთმანეთს შეუტევენ).

ლუარსაბ. გეუბნები ბოზბაში მეთქი!

დარეჯან. ჩიხირთმა!

ლუარსაბ. ბოზბაში, ბოზბაში მეთქი!

დარეჯან. ჩიხირთმა, ჩიხირთმა მეთქი!

ლუარსაბ. აბა, რა უნდა გითხრა: შენ რომ მშიერსა ჩიხირთმა, ნერწყვს

გვერის, მე ბოზბაში მაძლარსაც მაღაზე მომიყვანს ხოლმე!

დარეჯან. აბა შენ როგორ დაგიჯეროს კაცმა, როცა ორაგულსა თართს ამჯობინებ ხოლმე, მაშინ როდესაც ორაგული თევზების მეფეთა თქმულა!..

ლუარსაბ. მეფე თართია!

დარეჯან. ორაგული მეთქი!

ლუარსაბ. თართია მეთქი! თავი არ მომიკვდეს, არც ეხლა დაიჯერებ!

დარეჯან. ორაგულია, ორაგული ვეყო!

ლუარსაბ. აბა საიდან იცი რომ მეფე ორაგულია?

დარეჯან. შენ საიდან იცი რომ თართია? (პ.) ჰო და რაც არ იცი, ნუ ახირდები და მტკიცებას ნუ მოჰყვები?

ლუარსაბ. ეგრეც რომ იყოს, მე კიდევ ბოზბაშთანა ვარ!

დარეჯან. მე კიდევ ჩიხირთმასთან!

ლუარსაბ. ბოზბაში, დედაკაცო!

დარეჯან. ჩიხირთმა, ადამიანო!

ლუარსაბ. ორაგული მეთქი!

დარეჯან. ორაგული შენ კი არა მე ვსთქვი!

ლუარსაბ. ეხლა მეცა ვსთქვი! (ორივე გაიბუტებიან. სიჩუმე ჩამოვარდება), ადამიანო რა გვაჩხუბებს!? შენა სთქვი თუ მენა — სულერთი არ არის. ისიც

იყოს და ისიც, მე ვარც ერთზე არ გეტყვი უარს!

დარეჯან. შენ ყოველთვის აგრე იცი ხოლმე, გამტყუნდები და მერე თავს იმართლებ!

ლუარსაბ. იცი, შენც სუ და მეც!.. მოდი ცოტა ხანს მივიძინებ... სადილობამდე მოვისვენებ, შენ კი მანამ ერთი შენებური ტკბილი ნანინა სთქვი... ცოტა თავს მოვატყუებ და მერე სადილზე გადავსწყვიტოთ, ვინ არი მართალი. ეგ კია, რომ ჩიხირთმაც უნდა იყოს, ბოზბაშიც, თართიც და ორაგულიც!.. (გაწვევა ტახტზე) აბა ჩემო გულის ბოზბაში და სულის ჩიხირთმავე, დამაძინე!.. მილულუნე... ჩემო დარეჯან დამატკებ და მასიამოვნე!.. (ნელ-ნელა ეძინება და თანდითან ამთქნარებს).

დარეჯან. (დაიწყებს სიმღერას ძველ კილოზე) იაე-ნანა, შვილო ნანა...

ლუარსაბ. (ძილი ერევა, თვალებს ნელნელა ხუტავს და სიზმარში გაიძახის: თართი, ბოზბაში, ორაგული.. ჩიხირთმა...აა).

დარეჯან. (მღერის) იაე-ნანა, შვილო ნანა, იაე ნანინაო... (ფარდა ნელნელა ეშვება).

ვალერ. გუნია. (დასასრული)



ბ. რედაქტორო! ამ ქალაქის სიძვირეში ეს ვაზეთი შეგვიძლიან ხელმეორედ დავბეჭდოთ.



ფედერალისტების მამულიშვილური მოღვაწეობა 1915 წელს.